



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვალი

ვალი (არაბ., სიტყვასიტყვით – დამცველი), ოლქის, პროვინციის (ვილაიეთის) მმართველი თურქეთსა და ზოგ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში. ემორჩილება ცენტრ. ადმინისტრაციას. აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, მეთაურობს საოლქო ადმ. აპარატს. გვიანდ. ფეოლ. საქართველოში ვ. (ირანის შაჰის „მოადგილე“) ეწოდებოდა ქართლის მაჰმადიან მეფეებს, რ-ებიც ქვეყანას განაგებდნენ 1632-1744 (როსტომი და სხვ.).
